



სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი

წინასაარჩევნო გარემოს შეფასების ანგარიში - მარნეული,
გარდაბანი, ბოლნისი, თეთრიწყარო, დმანისი

(1 სექტემბერი-1 ოქტომბერი)

ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ფონდ "ღია საზოგადოება საქართველოს" მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის მხოლოდ „სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრს„ და შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ "ღია საზოგადოება საქართველოს" შეხედულებებს.



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

შესავალი

პროექტი, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა წინასაარჩევნო გარემოს შესწავლა, მიზნად ისახავს ქვემო ქართლში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობას, მათი ინფორმირებულობის, ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის ამაღლებას; მათ მიერ სამოქალაქო უფლებათა, კერძოდ კი, საარჩევნო უფლებათა უფრო ეფექტური გამოყენებისთვის შესაბამისი გარემოს გაუმჯობესებას.

პროექტის მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, წინასაარჩევნო გარემოს შესწავლა-დაკვირვების და შეფასების პროცესში ჩართულები არიან ქვემო ქართლის ეთნიკურ უმცირესობათა თემის წარმომადგენლები - 18-27 წლის ასაკის ახალგაზრდები.

წინასაარჩევნო გარემოს შეფასების კრიტერიუმები

წინასაარჩევნო გარემოს შეფასებისთვის პროექტის ფარგლებში განისაზღვრა შეფასების მეთოდოლოგია და შეფასების შესაბამისი კრიტერიუმები. შეფასების კრიტერიუმების შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა:

1. ყველა ის წინაპირობა, რომელიც უზრუნველყოფს არჩევნების სანდოობას, სამართლიანობას და დემოკრატიულობას;
- 2.წინასაარჩევნო პროცესში ჩართული მხარეების საქმიანობის და სხვადასხვა აქტივობების სამართლებრივი ჩარჩო, უფლება-მოვალეობები.

წინასაარჩევნო გარემოს შესწავლისას გამოვიყენეთ კვლევის შემდეგი მეთოდები: დაკვირვება/კონტენტ ანალიზი/ინტერვიუ.

წინასაარჩევნო გარემოს შეფასება განხორციელდა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- საარჩევნო სუბიექტების წინასაარჩევნო აქტივობის დონე - 5-0 ქულა
- მედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების პროცესი- 5-0 ქულა
- წინასაარჩევნო კამპანიის პროცესი, თანაბარი გარემოს უზრუნველყოფა- 5-0 ქულა
- ამომრჩევლის წინასაარჩევნო პროცესში ჩართულობის დონე და ინფორმირებულობა - 5-0 ქულა
- წინასაარჩევნო პროცესის ინკლუზიურობა - 5-0 ქულა

5	4	3	2	1	0
ძალიან კარგი	თითქმის კარგი	საშუალო	საშუალოზე დაბალი	ცუდი	უარყოფითი

ზოგადი ტენდენციები

საარჩევნო სუბიექტები/მათი წინასაარჩევნო აქტივობის დონე;

წინასაარჩევნო გარემო მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა ქვემო ქართლის იმ საარჩევნო ოლქებში, რომელსაც ჩვენი პროექტი და წარმოდგენილი ანგარიში მოიცავს. საანაგარიშო პერიოდისთვის (1 სექტემბერი - 1 ოქტომბერი) არ გამოვლენინა ისეთი სახის დარღვევები, რომელსაც გავლენის მოხდენა შეუძლია არჩევნების შედეგებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ქვემო ქართლის საარჩევნო ოლქებში მაჟორიტარული სისტემით საარჩევნო დეპუტატობის კანდიდატი მხოლოდ 17-მა პარტიამ/ბლოკმა დაარეგისტრირა, მათი წინასაარჩევნო აქტივობა მკვეთრად განსხვავებული იყო. დროის აღნიშნულ პერიოდში საარჩევნო ოლქების ქალაქებსა და სოფლებში აქტიურ საარჩევნო კამპანიას ძირითადად 6 საარჩევნო სუბიექტი აწარმოებდა: „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“; „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“; „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“; „ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატები“; „პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის“ და „ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა.“ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საარჩევნო სუბიექტი „პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის“ წინასაარჩევნო აქტივობას არ ახორციელებდა გარდაბნის მუნიციპალიტეტში. ბლოკმა გარდაბანში მათი პარტიორის „გირჩის“ შეთავაზებული კანდიდატი დაასახელა მაჟორიტარად, თუმცა „გირჩთან“ პარტიორობის დასრულების შემდეგ - ბლოკი გარდაბანში მაჟორიტარობის კანდიდატის გარეშე დარჩა.

ქვემო ქართლის საარჩევნო ოლქებში საარჩევნო სუბიექტთა არათანაბარი და განსხვავებული წინასაარჩევნო აქტივობის მიზეზად ვერ დასახელდება დანარჩენი საარჩევნო სუბიექტების მიმართ რაიმე განსაკუთრებული დაბრკოლებების შექმნა. მიზეზი მხოლოდ პარტიათა ფინანსური მდგომარეობაა.

წინასაარჩევნო გარემოს ინკლუზიურობა

პოლიტიკურმა სუბიექტებმა, გაითვალისწინეს ამომრჩეველთა სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი დონე და სააგიტაციო მასალა, კანდიდატთა საარჩევნო პოსტერები, საინფორმაციო ბროშურები - აზერბაიჯანულ ენაზე მოამზადეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მეტი რაოდენობის სააგიტაციო მასალა ორ პარტიას აქვს

მომზადებული და განთავსებული დასახლებების ცენტრალურ უბნებში. ეს პარტიებია „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა.“

მედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების პროცესი

რეგიონული მედიასაშუალებები, მიუხედავად იმისა, რომ მათი ნაწილი ახერხებს საარჩევნო დებატების მოწყობას, ასევე ბეჭდური ჟურნალისტური მასალების მომზადებას პარტიების პროგრამების და ხედვების შესახებ, მაინც ვერ ახერხებს ქვემო ქართლის რეგიონის ამომრჩეველთა სრულფასოვან ინფორმირებას.

ამომრჩეველთა ჩართულობის და ინფორმირებულობის დონე

თავის მხრივ, არჩევნებთან დაკავშირებით ინფორმირების კუთხით პრობლემები კვლავ რჩება სოფლებში. უმცირესობების მშობლიურ ენაზე არასაკმარისი საინფორმაციო-საგანმანათლებლო და მედიაპროდუქტის არსებობის გამო, ამომრჩეველი ნაკლებ ინტერესს იჩენს არჩევნების მიმართ. როგორც უკვე ვისაუბრეთ, თავისი მხრივ, მწირი ფინანსების გამო პარტიების ნაწილიც ვერ ახერხებს აწარმოოს საარჩევნო კამპანია და მოიცვას სრულად საარჩევნო ოლქებში შემავალი დასახლებები.

ამომრჩეველთა გააქტიურების მიზნით, უმცირესობების ენაზე საარჩევნო რეკლამები განთავსდა ქვემო ქართლის ტელევიზიაში, ასევე „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა“ ჩაატარა საგრანტო კონკურსი და დააფინანსა ამომრჩეველთა გააქტიურების/ინფორმირებისკენ მიმართული პროექტები. მათი ნაწილი ქვემო ქართლის რეგიონშიც მიმდინარეობს და ფინანსდება, როგორც ბეჭდური, ასევე სატელევიზიო პროდუქტის მომზადება. მიუხედავად ამ ძალისხმევისა, რეგიონული ცენტრებიდან მოშორებით მცხოვრები უმცირესობების ჩართულობა და ინტერესი საარჩევნო პროცესების მიმართ კვლავ დაბალია.

საარჩევნო სუბიექტები

გარდაბნის #31-ე საარჩევნო ოლქში მაჟორიტარობის კანდიდატი დასახლებული ყავს **11 საარჩევნო სუბიექტს.**

3. საარჩევნო ბლოკი "ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა - ალახვერდი ბახტიაროვი

5. საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - რამინ ბაირამოვი

- # 6. „უსუფაშვილი - რესპუბლიკელები” - რასულ გასანოვი
- # 7. „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის” - მუზარის კარაევი
- # 8. საარჩევნო ბლოკი „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია - გელა ხუციშვილი
- # 10. „შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია - ნინო მეტრეველი
- # 16. „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია” - ფახრად თანირგულიევ
- # 25. „კახა ძაგანია, სოსო შატბერაშვილი, პაატა ჯიბლაძე, არჩილ ბენიძე - მემარცხენე ალიანსი” - ლევან აბრამიშვილი
- # 27. „ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატები” - გიგა მოლაშხია
- # 28. „ზვიადის გზა - უფლის სახელით” - ფიზიურ მამედოვი
- # 41. „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო” - სავალან მირზოევი

მარნეულის #35 საარჩევნო ოლქში მაჟორიტარობის კანდიდატი დასახელებული ყავს **10 საარჩევნო სუბიექტს:**

- #1. საარჩევნო ბლოკი "პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის" - კამრან მამედოვი
- #3. საარჩევნო ბლოკი "ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა“ - ილიას კახრამანოვი
- #5. საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” - აზერ სულეიმანოვი
- #7. „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის” - დავით ნოზაძე
- #8. საარჩევნო ბლოკი „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“ - ელმარ გასანოვი
- #19. საარჩევნო ბლოკი „თოფაძე -მრეწველები, ჩვენი სამშობლო” - ფოლად ხალილოვი
- #22. მერაბ კოსტავას საზოგადოება - ალექსანდრე გურგენიშვილი
- #23. საარჩევნო ბლოკი „ჩვენები - სახალხო პარტია” - ლევან ღლონტი
- #27. „ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატები” - გიორგი სისვამე
- #41. „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო” - რუსლან გაჯიევი

მარნეულის #36 საარჩევნო ოლქში მაჟორიტარობის კანდიდატი დასახელებული ყავს **8 საარჩევნო სუბიექტს:**

- #1. საარჩევნო ბლოკი "პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის" - ისრაფილ ბაირამოვი
- #3. საარჩევნო ბლოკი "ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა - ვეფხია გურგენიშვილი
- #5. საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” - აკმამედ იმამკულიევი
- #7. „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის” - ელდარ მუსტაფაევი

#8. საარჩევნო ბლოკი „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა

ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“ - ალი ისაევი

#17. „საქართველო“ - ომარ წამალაიძე

#23. საარჩევნო ბლოკი „ჩვენები - სახალხო პარტია“ - თეონა ქავთარია

#41. „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - თამაზ ნავერიანი

ბოლნისის #33-ე საარჩევნო ოლქში იმართება როგორც საპარლამენტო, ასევე რიგგარეშე გამგებლის არჩევნებიც. აღნიშნული განაპირობა „ქართული ოცნების“ მიერ მაჟორიტარობის კანდიდატად გამგებლის გოგი მეშველიანის წარდგენამ.

ბოლნისის მაჟორიტარობისთვის ერთმანეთს შემდეგი 8 საარჩევნო სუბიექტის კანდიდატები უპირისპირდებიან:

1. საარჩევნო ბლოკი "პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის"- რამიზ ბაქიროვი

5. საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ სამირა ისმაილოვა

7. „თამაზ მექიაური ერთიანი საქართველოსთვის“ ფარმან ჯეირანლი

8. საარჩევნო ბლოკი „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“ - დალი მამულაშვილი

10. „შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია - მარინ გუნაშვილი

27. „ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატები“ - ბანიაშვილი კასიმოვი

28. „ზვიადის გზა - უფლის სახელით“ - გულიკო ფარჯიანი

41. „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - გოგი მეშველიანი

ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებლის რიგგარეშე არჩევნებში კი მონაწილეობას 4 პარტიის/საარჩევნო ბლოკის და ერთი საინიციატივო ჯგუფის გამგებლობის კანდიდატი იღებს მონაწილეობას. კერძოდ:

საარჩევნო ბლოკი „პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის“ - გიორგი სამხარაძე;

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - ტრისტან ბერიძე;

„დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“ - გოდერძი მიქელაძე;

„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - დავითი შერაზადიშვილი

საინიციატივო ჯგუფი - ელგუჯა ჯაფარიძე.

დმანისის 34-ე საარჩევნო ოლქში მაჟორიტარობის კანდიდატი დასახელებული ყავს 8 საარჩევნო სუბიექტს:

- #1. საარჩევნო ბლოკი "პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის" პავლე ადუაშვილი
- #2. პროგრესულ-დემოკრატიული მოძრაობა - არმენაკ სარქისიანი
- #3. საარჩევნო ბლოკი "ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა" - ჯუმბერ ანანიძე
- #5. საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - ბაკური მგელაძე
- #8. საარჩევნო ბლოკი „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“ - ნამიგ ბაირამოვი
- #26. ეროვნული ფორუმი - ალექსანდრე ნონიაშვილი
- #27. „ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატები“ - ჯემალ ვანაძე
- #41. „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - კახაბერ ოქრიაშვილი

თეთრიწყაროს #32 საარჩევნო ოლქში მაჟორიტარობის კანდიდატი დასახელებული ყავს 8 საარჩევნო სუბიექტს:

- #1. საარჩევნო ბლოკი "პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის" ალექსი ნონიაძე
- #2. პროგრესულ-დემოკრატიული მოძრაობა - ქეთევანი უგრეხელიძე
- #3. საარჩევნო ბლოკი "ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა - ნუნუ ნათობიძე
- #5. საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ნუგზარ წიკლაური
- #7. „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ - ბადრი ლაზიაშვილი
- #8. საარჩევნო ბლოკი „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“ - მამუკა არეშიძე
- #27. „ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატები“ - ვაჟა ბექაური
- #41. „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - გოდერძი ჩანქსელიანი

სავარაუდო ზეწოლის/დარღვევის ფაქტები

საარჩევნო სუბიექტები აღნიშნულ საარჩევნო ოლქებში საუბრობენ სააგიტაციო მასალების განთავსების კუთხით არსებულ სირთულეებზე. საარჩევნო სუბიექტები საუბრობენ ცალკეულ შემთხვევებზე, როდესაც მათ საარჩევნო კამპანიის წარმართვაში ხელს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები უშლიან.

აგრეთვე ადგილი ჰქონდა პარტიების აქტივისტებს შორის სიტყვიერ და ფიზიკურ დაპირისპირებას.

საანგარიშო პერიოდში სულ 6 საჩივარი შევიდა თეთრიწყაროს და ბოლნისის საოლქო საარჩევნო კომისიებში.

საარჩევნო კამპანიაში ხელის შემლაზე საუბრობს „ნაციონალური მოძრაობის“ მარნეულის მაჟორიტარობის კანდიდატი ახმედ იმამყულიევი. მისი განცხადებით არ ამღევენ საარჩევნო ხასიათის შეხვედრის ჩატარების უფლებას მარნეულის ე.წ ბაზრის ტერიტორიაზე. კანდიდატი სოციალურ ქსელში საკუთარ გვერდზე ვიდეოს აქვეყნებს. წარმოდგენილი ვიდეომასალის მიხედვით, ადამიანი რომელიც მას ბაზრის მეპატრონედ გაეცნო - ტერიტორიის დატოვებას მოითხოვს მისგან. იმამყულიევის განცხადებით აღნიშნული განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ბაზრის მესაკუთრე „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატის თამაზ ნავერიანის ნათესავია.

„ნაციონალური მოძრაობის“ თეთრიწყაროს ორგანიზაცია ასევე ავრცელებს ვიდეომასალას, სადაც ჩანს, თუ როგორ აკრავს მოქალაქეთა მცირე ჯგუფი მათ სააგიტაციო მასალაზე „ქართული ოცნების“ კანდიდატის პლაკატებს. აღნიშნულ ფაქტს უკავშირებს „ნაციონალური მოძრაობა“ შემდეგში მომხდარ ინციდენტსაც. კერძოდ, 16 სექტემბერს, 16:30 საათზე, თეთრიწყაროში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თეთრიწყაროს მაჟორიტარი კანდიდატის ნუგზარ წიკლაურის საარჩევნო შტაბის ოფისის ეზოში „ქართული ოცნების“ აქტივისტები ფიზიკურად დაუპირისპირდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებს. ამ ინციდენტის მთავარ მოტივად ოპოზიციურმა პარტიამ - წინა დღეებში პლაკატებზე გადაკვრის ვიდეოს გადაღება დაასახელა.

სააგიტაციო მასალის დაზიანებაზე ჩივის „ლეიბორისტული პარტიის“ გარდაბნის მაჟორიტარობის კანდიდატი ნინო მეტრეველი. სააგიტაციო მასალის განთავსების კუთხით პრობლემებზე საუბრობენ „ნაციონალური მოძრაობის“ ბოლნისის ორგანიზაციაშიც. აღნიშნულ საკითხზე მათ საჩივრით საოლქო საარჩევნო კომისიას მიმართეს.

21 სექტემბერს, ქვემო ქართლის ტელევიზიის პირდაპირ ეთერში მარნეულის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები ვეფხია გურგენიშვილი და ფოლად ხალილოვი ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ. „ნინო ბურჯანაძე-დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ვეფხია გურგენიშვილმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა „თოფაძე-მრეწველების“

მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს, ფოლად ხალილოვს. ამ უკანასკნელმა კი მას კალამი ესროლა, რასაც გურგენიშვილის მხრიდან ფიზიკური ძალადობა მოჰყვა.

ასევე ამ დროისთვის „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ქვემო ქართლის ოფისი პარტია „ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობის“ გარდაბნის ორგანიზაციის ორი აქტივისტის უფლებებს იცავს.

საია-ს რუსთავის ოფისს მიმართა გარდაბნის რაიონის სოფელ ბირლიკში მცხოვრებმა რაშიდ მუსაევმა, პოლიტიკური პარტია „ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა“-ის საარჩევნო შტაბის უფროსმა გარდაბნის რაიონში. მისი განცხადებით, გარკვეულმა პირებმა მასზე ზეწოლა მისი პოლიტიკური საქმიანობიდან გამომდინარე განახორციელეს. ასევე საია-ს რუსთავის ოფისს მიმართა გარდაბნის რაიონის სოფელ თაზაქენდში მცხოვრებმა ფირახმად გასანოვმა, რომელმაც განაცხადა, რომ მუშაობს პედაგოგად თაზაქენდის საჯარო სკოლაში და ამასთან იყო პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და აქტიური წევრი, მაგრამ ხელმძღვანელ პირებთან გარკვეული უთანხმოების გამო დატოვა პარტია და გაწევრიანდა „ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიულ მოძრაობაში“, სადაც აქტიურად მონაწილეობს წინასაარჩევნო პროცესებში. აღნიშნულის გამო, მმართველი პარტიის ადგილობრივი ხელმძღვანელობის მხრიდან მის მიმართ განხორციელდა სიტყვიერი და ფსიქოლოგიური ზეწოლა, რათა შეეწყვიტა პარტიის წევრობა.

რაშიდ მუსაევმა და ფირახმად გასანოვმა აღწერილ ფაქტებთან დაკავშირებით განცხადებით რუსთავის რაიონულ პროკურატურას მიმართეს.

საოლქო საარჩევნო კომისიებში შესული საჩივრები

დროის აღნიშნული პერიოდში საარჩევნო ოლქებიდან, რომელსაც ანგარიში მოიცავს, ცესკოში 6 საჩივარი შევიდა.

15 სექტემბერს თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიაში „პატრიოტთა ალიანსის“ საჩივარი შევიდა. საკითხი ეხებოდა მათი მაჟორიტარობის კანდიდატის მამუკა არემიძის პლაკატების დაზიანებას. საოლქომ იმსჯელა აღნიშნულ საჩივარზე და რეაგირებისთვის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობას მიმართა.

18 სექტემბერს „ნაციონალური მოძრაობის“ ბოლნისის ორგანიზაციამ საჩივრით ბოლნისის საოლქო საარჩევნო კომისიას მიმართა. პარტია საჩივარში საუბრობს „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მიერ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აგვისტოს მიღებული განკარგულების მე-5 მუხლის დარღვევის (საარჩევნო პლაკატების გამოკვრასთან დაკავშირებით)

შესახებ. პარტია საჩივარში წერს, რომ ბოლნისში განთავსებულ საარჩევნო სტენდებზე, სადაც ყველა პარტიას ერთი საარჩევნო პლაკატის გაკვრის უფლება აქვს, ქართული ოცნების კანდიდატის 8 პლაკატია გაკრული. საოლქომ შემდგომი რეაგირებისთვის საჩივარი ბოლნისის გამგეობაში გადააგზავნა.

20 სექტემბერს თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიას საჩივრით „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მიმართა. პარტია საჩივარში წერს: **„ალგეთის საარჩევნო უბანზე არ არის გამოკრული კედლის შესაბამისი სიები და 2016 წლის 17 სექტემბერს 15:10 წთ, საარჩევნო უბანი იყო დაკეტილი.“** საჩივარი საოლქომ საარჩევნო კომისიამ არ დააკმაყოფილა. საჩივრის განხილვის დოკუმენტში საოლქო აცხადებს, რომ მოხდა საარჩევნო უბნის წვერებისგან ახსნა-განმარტებების ჩაბარება, უბნის ფოტომასალის და ადგილზე არსებული ვითარების გაცნობა. შესაბამისად საოლქო ადგენს, რომ უბანზე სიები იყო გამოკრული და მომჩივანის მიერ საჩივარში მითითებულ დღეს უბანზე თავმჯდომარე და მდივანი იმყოფებოდნენ, სხვა წვერები კი ამომრჩეველთა ბარათებს არიგებდნენ. **22 სექტემბერს** საარჩევნო პლაკატების დაზიანებასთან დაკავშირებით საჩივარი შევიდა თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიაში. საჩივრის ავტორი „პატრიოტთა ალიანსი“-ს თეთრიწყაროს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ნუგზარ ლიპარტელიანია. საჩივარში წერია, რომ თეთრიწყაროში აღმამენებლის ქუჩაზე მოხდა მათ საარჩევნო პლაკატებზე „ქართული ოცნების“ აქტივისტების მიერ სააგტიციო მასალის (ოცნების მაჟორიტარობის კანდიდატის პლაკატების) გადაკვრა. საჩივარი შემდგომი რეაგირებისთვის საოლქომ თეთრიწყაროს გამგეობას გადაუგზავნა. აგრეთვე, თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიაში შევიდა საჩივარი, **24 სექტემბერს** საარჩევნო ბლოკი „პაატა ბურჭულაძე-სახელმწიფო ხალხისათვის“ - სააგტიციო პლაკატების გაკვრაზე ხელის შეშლის შესახებ. საჩივარში ვკითხულობთ, რომ 22 სექტემბერს საარჩევნო სუბიექტის მხარდამჭერი სოფელ აღთაკლიაში აკრავდა მათი კანდიდატის სააგტიციო მასალას, როდესაც გარდაბნის გამგებლის წარმომადგენელმა არ მისცა პლაკატის გაკვრის საშუალება, საარჩევნო უბნიდან 200 მეტრის დაშორებით. საჩივარი რეაგირებისთვის გადაეგზავნა გარდაბნის გამგეობას. მორიგი საჩივარი თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიაში **25 სექტემბერს** სადამკვირვებლო ორგანიზაცია „სამართალდამცავთა რეფორმების ცენტრისგან“ შევიდა - საუბნო საარჩევნო კომისიის მუშაობასთან დაკავშირებით. დამკვირვებელი ორგანიზაცია საჩივარში უთითებს, რომ 25 სექტემბერს იმყოფებოდნენ სოფელ არდისუბანში და 13:23 წუთზე საარჩევნო უბანი დაკეტილი დახვათ. საჩივარს ახლავს ვიდეომასალაც. საჩივართან დაკავშირებით საოქლომ იმსჯელა, ჩაატარა შესაბამისი მოკვლევა და შესაბამისი საუბნო საარჩევნო

კომისიის თავმჯდომარე ქეთევან გიორგაძეს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად განუსაზღვრა შენიშვნა.

დროის იმ პერიოდში, რომელსაც მოიცავს აღნიშნული ანგარიში (სექტემბრი) არც ერთი საჩივარი არ შესულა გარდაბნის, მარნეულის და დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიებში.

ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება

როგორც მთელ საქართველოში ისე ქვემო ქართლის რეგიონშიც ცენტრალური ხელისუფლების მიერ წინასაარჩევნოდ დაწყებული ხორციელდება მმართველი პარტიისთვის პოზიტიური ხასიათის აქტივობები. ამ ჭრილში შეიძლება განვიხილოთ მიწის გამარტივებული ფორმით რეგისტრაცია, რომელიც 1 აგვისტოდან დაიწყო და მოსახლეობას უფასოდ სთავაზობს მიწის რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას, ასევე წინასაარჩევნოდ დაიწყო ეკომიგრანტი ოჯახებისთვის სახლების საკუთრებაში 1 ლარად გადაცემა. ამ დროისთვის, მხოლოდ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში სახლები 1 ლარად 109 ოჯახს გადაეცა.

აღნიშნული აქტივობები არ წარმოადგენს კანონდარღვევას, თუმცა მათი განხორციელება დროის ამ პერიოდში ახდენს გავლენას ამომრჩევლების განწყობაზე და არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს საარჩევნო სუბიექტებს.

ასევე, ამავე კონტექსტით შეიძლება განვიხილოთ ე.წ მოკლექსტურული შეტყობინებების დანერგვა მუნიციპალიტეტებში. მუნიციპალიტეტებმა წინასაარჩევნოდ დაიწყეს მოსახლეობისთვის მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნა, სადაც წერენ რომელი სოციალური, თუ ინფრასტრუქტურული პროექტი მიმდინარეობს, ან დასრულდა მათ მუნიციპალიტეტში.

აქვე უნდა ითქვას, რომ პირად საუბრებში საარჩევნო სუბიექტები საუბრობენ საარჩევნო კამპანიაში საჯარო მოხელეთა სამუშაო საათებში მონაწილეობაზე, თუმცა მათ, ხშირ შემთხვევაში, უჭირთ მოწოდებული ინფორმაციის დამადასტურებელი ფაქტების წარმოდგენა.

საარჩევნო პროცესის ზოგადი შეფასება

მიუხედავად საარჩევნო სუბიექტებისათვის საარჩევნო კამპანიის წარმოებაში ხელის შეშლის გამოვლენილი სავარაუდო ფაქტებისა - ამ დროისთვის, საარჩევნო გარემო არაა პრობლემური, პარტიებს მათი ადამიანური რესურსის და ფინანსური მდგომარეობის მიხედვით აქვთ შესაძლებლობა აწარმოონ საარჩევნო კამპანია.

ჩვენ მიერ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით, ქვემო ქართლში წინასაარჩევნო გარემო შესაძლოა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად. კერძოდ:

კრიტერიუმი	შეფასება
საარჩევნო სუბიექტების წინასაარჩევნო აქტივობის დონე	2
მედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების პროცესი	3
წინასაარჩევნო კამპანიის პროცესი, თანაბარი გარემოს უზრუნველყოფა	3
ამომრჩევლის წინასაარჩევნო პროცესში ჩართულობის დონე და ინფორმირებულობა	3
წინასაარჩევნო პროცესის ინკლუზიურობა	4
ჯამური	3

დასკვნის სახით რომ ვთქვათ:

1. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გვაქვს წინასაარჩევნო გარემოს ინკლუზიურობის თვალსაზრისით;
2. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს საარჩევნო სუბიექტების წინასაარჩევნო აქტივობის დონეს;
3. საშუალოდ უნდა შეფასდეს მედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების პროცესი, წინასაარჩევნო კამპანიის პროცესში თანაბარი გარემოს უზრუნველყოფა, ამომრჩევლის წინასაარჩევნო პროცესში ჩართულობის დონე და ინფორმირებულობა

შეფასების კრიტერიუმების შეჯამების მიხედვით ქვემო ქართლში წინასაარჩევნო პროცესი მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლად.